ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4284975

ნომერი: AR1647362

თარიღი : 30.11.2018

გაცემის თარიღი : 06.12.2018

გაცნობის თარიღი : 07.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნოე ჟორდანიას სანაპირო, N 3ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭიჭინაძე პ/ნ 01015007239
- თბილისი კ.აფხაზის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 30 ნოემბრის AR1647362 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ნოე ჟორდანიას სანაპირო N3ა-ში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ არ არის მიზანშეწონილი შენობის ფასადზე აბრის ამგვარი განთავსება. მოაწყვეთ მოცულობითი ასოებით ფონის გარეშე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას ქ. თბილისში, ნოე ჟორდანიას სანაპირო N3ა-ში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.